



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 12

2020 წელი 21 აგვისტო

ქ. ბაღდათი

11.00 საათი

2020 წლის 21 აგვისტოს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: შალვა მშვილდაძე, ირინა ტყემელაშვილი, მამუკა გორგოძე, ფრიდონ მაჩიტაძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, მაკა მესხი, დიომიდე კიკნაველიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, გურამი კიკნაველიძე, გვანცა გრძელიძე, მათა კბილაშვილი, თემურ მინაძე, გრიგოლ ტაბეშაძე, მურად ბურჯანაძე, გაბრიელ ლიბრაძე, ალექსი ლომინაშვილი, ვლადიმერ წიქორიძე.

საკრებულოს წევრები: სულ 19 წევრი.

არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგაძე, გიორგი რობაქიძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, ირაკლი გოგსაძე, კობა მშვილდაძე, შალვა დათუაძე, რუსუდან გეჭაძე, ზაზა ზივზივაძე, შადიმან გორგოძე, თეონა ფახურიძე.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

თინა აბულაძე- ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკური განყოფილების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

საკრებულოს აპარატის უფროსი- ნოდარ ებანოიძე.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19 წევრმა, დაესწრო 19 საკრებულოს წევრი.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე, რომელმაც აღნიშნა, რომ „საკრებულოში შემოსულია მუნიციპალიტეტის მერიის წინადადება რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ“, როგორც შ. მშვილდაძემ განმარტა, საკითხი ეხებოდა იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ვანის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად საპროექტო განაცხადზე „ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მეწარმეების განვითარების ხელშეწყობის მიზნით არტეზიული ჭების მოსაწყობად საბურღი მძიმე ტექნიკის შეძენა“-ს. სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ვანის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად საპროექტო

განაცხადზე „ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მეწარმეების განვითარების ხელშეწყობის მიზნით არტეზიული ჭების მოსაწყობად საბურღი მძიმე ტექნიკის შეძენა“ - თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი : თინა აბულაძე- ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკური განყოფილების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:
დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 19 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ვანის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად საპროექტო განაცხადზე „ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მეწარმეების განვითარების ხელშეწყობის მიზნით არტეზიული ჭების მოსაწყობად საბურღი მძიმე ტექნიკის შეძენა“ - თანხმობის მიცემის შესახებ.

საგრანტო წინადადების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდა ბიუროს წევრებს: **თინა აბულაძე- ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკური განყოფილების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა,**

თ. აბულაძემ უპასუხა საკრებულოს წევრების შეკითხვებს
კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 40 21.08. 2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-19 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 19 საკრებულოს წევრი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე:

შალვა მშვილდაძე